ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3722328

ნომერი: AR1562901

თარიღი : 06.12.2017

გაცემის თარიღი : 07.12.2017

გაცნობის თარიღი : 07.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცხვედაძე , N 40(40ა) / ქალაქი თბილისი , ცხვედაძის ქ. N40 (40ა)-ს მიმდ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ ლორთქიფანიძე პ/ნ 01008013818
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 35 ბ. 50

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 აგვისტოს №3506835 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 06 დეკემბერს №AR1562901 განცხადებით მომართა ოთარ ლორთქიფანიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 აგვისტოს №3506835 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 აგვისტოს №3506835 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, ცხვედაძის ქუჩა N 40(40ა)-ში და ცხვედაძის ქ. N40 (40ა)-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 31 აგვისტოს №3506835 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და განმარტავს, რომ, საერთო ფართობად ნაცვლად 1897,5კვ.მ-სა უნდა დაფიქსირდეს 1891,93 კვ.მ, საზაფხულო ფართობად ნაცვლად 368,74 კვ.მ-სა უნდა დაფიქსირდეს 368,8 კვ.მ, სარდაფის ფართობად ნაცვლად 207,15 კვ.მ-სა უნდა დაფიქსირდეს 206,52 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად ნაცვლად 328,87 კვ.მ-სა უნდა დაფიქსირდეს 323,87 კვ.მ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 06 დეკემბერს №AR1562901 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, შეადარა 2017 წლის 31 აგვისტოს №3506835 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 აგვისტოს №3506835 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 1891,93 კვ.მ; საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 368,8 კვ.მ; სარდაფის ფართობად დაფიქსირდეს 206,52 კვ.მ; ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 323,87 კვ.მ.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 აგვისტოს №3506835 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 აგვისტოს №3506835 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.